საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი

ერთად შევქმნათ უსაფრთხო სამუშაო გარემო!

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები სასაზღვრო-გამშვები პუნქტის პერსონალისთვის

დოკუმენტში წარმოდგენილია რეკომენდაციები იმ თანამშრომლებისთვის, რომელთაც ევალებათ საზღვრის დაცვა/ კონტროლი და თერმოსკრინინგის ჩატარება.

სხვადასხვა საქმიანობის კომბინაციისას დამსაქმებლმა არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს საინჟინრო-ტექნიკური და ადმინისტრაციული კონტროლი უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესაძლო გამოყენების მიზნით.

საინჟინრო-ტექნიკური კონტროლი

შემომსვლელ მგზავრთაგან განცალკევების მიზნით გამოიყენეთ გამჭვირვალე ფიზიკური ბარიერები საზღვრის დაცვის ოფიცრებისა და სხვა მუშაკებისთვის. გამოიყენეთ სპეციალური განცალკევებული ზონები, როგორიცაა, მაგალითად: სპეციალური, იზოლირებული ოთახები დასაკეტი კარით, რათა მოახდინოთ იმ მგზავრთა იზოლაცია, რომლებიც სავარაუდოდ COVID-19-ით არიან დაინფიცირებულები, მათ შორის ისინიც, ვინც ადასტურებენ ინფექციის სიმპტომებისა და/ან ნიშნების არსებობას. თუ მუშაკები ატარებენ მგზავრთა თერმოსკრინინგს, გამოიყენეთ უკონტაქტო (თერმული სენსორი) თერმომეტრები, რათა თავიდან აირიდოთ მუშაკთა შეხება დაავადებულ მგზავრებთან და მაქსიმალური დისტანცია დაიცვათ მუშაკსა და ასეთ მგზავრს შორის. მგზავრთა შორის დისტანციის დასაცავად გამოიყენეთ სავალდებულო პირობითი ნიშნები (მონიშნეთ იატაკზე სტიკერების სახით). დახურულ სივრცეში არეგულირეთ მგზავრთა ნაკადი.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

დამსაქმებელმა არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასების შესაბამისად უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება (ხელთათმანები, თვალის და სახის დამცავი საშუალებები). საზღვრის დაცვის ოფიცრები, რომლებიც შედიან იმ ოთახში, სადაც ის მგზავრები არიან იზოლირებულნი, რომლებსაც სავარაუდოდ აღენიშნებათ COVID-19-ის ვირუსი, მაგალითად: დამატებითი (მეორადი, მესამეული) სკრინინგის ეტაპის დროს, შესაძლოა საჭიროებდნენ მაღალი დონის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით დაცვას, (რეკომენდირებულია კომბინიზონი და რესპირატორები FFP2, FFP3.) მსგავს შემთხვევებში, რესპირატორები უნდა გამოიყენოთ მწარმოებლის მიერ მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გახდის/ მოხსნის შემდეგ, აუცილებელია ან ხელების დაბანა საპნით და წყლით, ან დამუშავება ალკოჰოლის შემცველი (60-65%) შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებებით. ერთჯერადი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გახდის/ მოხსნის ადგილებზე განათავსეთ ბიოლოგიურად სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილი შესაბამისი კონტეინერი. ნარჩენების გატანა უზრუნველყავით პერიოდულად, შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

შენიშვნა: *ჯანდაცვის მინისტრის N281/ნ ბრძანების შესაბამისად, იმ პირებზე ვინც კორონავირუსის პრევენციის მიზნით კარანტინში იმყოფებიან საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტინის) ტოლფას ცნობას გასცემს ჯანდაცვის სამინისტრო. აღნიშნული დოკუმენტი დამსაქმებლებისთვის ხელფასის გაცემის საფუძველი იქნება და შესაბამისად დასაქმებულ ადამიანებს ლეგიტიმურად ჩაეთვლებათ და სრულად აუნაზღაურდებათ კარანტინისა და თვითიზოლაციისას გაცდენილი სამუშაო დღეები. ცნობის მისაღებად დაინტერესებულ პირს შეუძლია სამინისტროს ელექტრონული ფოსტის მისამართზე - info@moh.gov.ge მიმართოს.*

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 15 05 | 116 006